ერთი სიტყვით, დადასწყვეტია რთული და სერიოზული ამოცანები, რომელთა შორის ყრილობის მონაწილეებმა დასახელეს ზრმოს საერთო-საკავშირო დანაწილებაში რესპუბლიკის წელილის ზრდა. საჭიროა ყოველმხრივ გაამტკიცოდეს მუშაობა, რათა დაზარდოს საერთო-საკავშირო ფონდში ცალკეულ სახეობათა პროდუქციის მიწოდების მოცულობა. ამავე დროს ეკონომიკური ბერკეტებისა და სამეურნეო ანგარიშის უნარიანი გამოყენების ხარჯზე უნდა გავაძლიეროთ რესპუბლიკის საჭიროებათა დასაკმაყოფილებად პროდუქტების წარმოების ტემპი. ამასთან დაკავშირებით ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო მეჩაიეობის შემდგომი განვითარების, ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. ჩვენს რესპუბლიკაში მოკრეფილი ჩაის ფოთლის 64 პროცენტი ხომ კოლმეურნეობების ნოლად მოდის. სწორედ მეჩაიეობა იძლევა საკოლმეურნეო სექტორის ფულად შემოსავლის 32 პროცენტს და მოგების 28 პროცენტს.

სოფლის მეურნეობის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი ახლა განვითარების ახალ ეტაპზეა. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შარშან მიღებულმა „დადგენილებამ დარგში კარდინალური ცვლილებისა და მისი თვისებრივად ახალ დონეზე აყვანის ფართო შესაძლებლობები დასახა. ამ დოკუმენტის წყალობით ახლა ოპერატიულად გადაწყდება მეჩაიეობის ალგალეობის ბევრი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, წინათ რომ ადგილიდან არ იძვროდა. ყველაზე ეკონომიკური ღონისძიებები. ამავე დროს ენერგეტიკულ ენერგიის ეკონომიკურ ეფექტურობაზე, ფაქტობრივად შეუძლებელ სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებასა და თვითგანაზღაურებაზე გადასვლა. ამიტომ სეიროოულად უნდა მოგვიდოთ ხელი წარმოების ორგანიზაციის, მისი მართვის მეთოდების გაუმჯობესებისა, გაბედულად მოვაწყოთ ექსპერიმენტები, ავითვისოთ მოწინავე გამოცდილება.

ყრილობაზე სერიოზული პრეტენზიები წაუყენეს რესპუბლიკის სასაგრარეწვის იკონომიურ სამსახურებს. კვლავინდებურად მძიმეა ბევრი მეურნეობის ფინანსური მდგომარეობა, რაც ძირითადად განპირობებულია პროდუქციის წარმოების დიდი დანახარჯებით. აქ ფაქტობრივად არავითარი პროგრესი არ იგრძნობა. პირიქით, ხარჯები, წლითიწლობით მატულობს. მაგალითად, 1981 წელს 100 მანეთ საწარმოო დანახარჯებზე კოლმეურნეობებმა 124 მანეთის პროდუქცია აწარმოეს, 1986 წელს კი მაჩვენებელი 107 მანეთამდე შემცირდა, ცენტნერი საქონლის ხორცის თვითღირებულება 70 მანეთზე მეტად ჯიბანდა, ხოლო რძისა — 10 მანეთით. რა ეკონომიკურ მუშაობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა, მაგალითად, გეგეკორისა და მახარაძის რაიონების კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ცენტნერ წონამატებაზე 100 მანეთი იხარჯება, ხოლო ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებში ცენტნერი რძის წარმოება 70-80 მანეთი ჯღება.

მოუტევებელი უყაირათობისა და მომჭირნეობის რეჟიმის შეუფასებლობის გამო საკოლმეურნეო სექტორში წარმოებული 20 ძროვადან სახეობის პროდუქციიდან 10 ზარალიანია. რესპუბლიკის 770 კოლმეურნეობიდან კი 377 ნაკლებრენტაბელურია. და ეს მაშინ, როცა ხოლო ოთხ წელიწადში მათ დოტაციისა და დანამატის სახით 337 მილიონი მანეთი მიიღეს. ეს დასმარება რომ არა, 1987 წელს ზარალიანი იქნებოდა ყოველი მეორე კოლმეურნეობა. საგულისხმოა, რომ არარენტაბელურ საზოგადოებრივ მეურნეობათა უმრავლესობა რესპუბლიკის მთიან ზონის წლად მოდის, სადაც, გარდა ყველაფრისა, არახელსაყრელი კლიმატური პირობებიც აბრკოლებენ საქმეს. მაგრამ როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ ქარელის, ხაფანგის, თელავის, სამტრედიის, ზუგდიდის, ქობულეთისა და მწყანთმოქმედების ერთობ ხელსაყრელი პირობების მქონე ზონაში მდებარე მთელი რიგი სხვა რაიონების ზოგიერთი კოლმეურნეობაც არარენტაბელურად მუშაობს. თუმცა და რენტაბელობაზეა ლაპარაკი, როცა ცალკეული მეურნეობები წლითიწლობით აუარესებენ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, მათ ხელმძღვანელებს კი მხოლოდ სახელმწიფოს დახმარების იმედი აქვთ.

მაგალითად, საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობაში 1986 წელს შეამცირეს თითქმის ყველა სახეობის პროდუქციის წარმოება და წელიწადი 50 ათასი მანეთის ზარალი დაესრულეს. ამ კოლმეურნეობის ბალანსი დადებითად შეჯამდა მხოლოდ სახელმწიფოს ხარჯზე გაკეთებული გვარიანი დანამატის წყალობით. ამავე დროს ეს კოლმეურნეობა 1980 წელს რენტაბელური იყო ისე, რომ გარედან არავინ იხმარებდა.

სამწუხაროდ, ეს ერთეული ფაქტი როდია. როგორც ყრილობაზე აღინიშნა, ანალოგიური მაგალითი ბევრია საკოლმეურნეო წარმოების ყველა სფეროში. პრაქტიკულად არ არის დარგი, სადაც ეფექტიანობა ნაკლი რომ არ ჰქონდეს.

კოლმეურნეობების საქმიანობაში არსებული ეს და მთელი რიგი სხვა ნაკლოვანებები იმის უშუალო შედეგია, რომ ხელმძღვანელები ადგილებზე და ცენტრში უკიდურესად ნელა და გაუბედავად ჰკიდებენ ხელს მობმულებულ ამ ფართობების გადაჭრას, ხშირად ხარვეზების ფიქსირებით ემაყოფილდებიან, არ ამწვავებენ ვითარებას და არ ამორეკეულებენ მოწამთმქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში ჩამორჩენის ლეკიდაციისა და ამ პროდუქციის წარმოების ზრდის რადიკალურ ღონისძიებებს.

ერთი სიტყვით, ბევრ ადგილზეა ფაქტიური ფულიანობა. ეს ფულიანობა ეფექტიანობა. ეს ფულიანობა ეფექტიანობა. ეს ფულიანობა ეფექტ

ეროვნული დოვლათის ზრდისათვის

გარდაქმნა და მთის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასაღებო მეურნეობის სტრატეგიულ მიმართულებათა სწორ განსაზღვრას. ჩვენი რესპუბლიკისთვის ასეთი მიმართულება აგრარული წარმოება, მისი ტექნიკური აღჭურვისათვის გამიზნული მანქანათმშენებლობა (უპირატესად სამთო პროფილის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა) და გადამამუშავებელი მრეწველობა. ცხადია, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ძირითადი მიმართულებანიც, ისევე როგორ მატერიალურ-ტექნიკური და საფინანსო პოლიტიკაც, აგრარული განვითარების ამ ეკონომიკურ სტრატეგიას უნდა დაემორჩილოს.

მაგრამ სტრატეგიული მიზანდასახულობიდან „ძირითადი რგოლის" გამოყოფის ლენინური მეთოდი რომ გამოიყენონო, უახლოესს ხუთწლეულებში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკური მუშაობის ცენტრში მთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების პრობლემა უნდა დადგეს, რადგან ეროვნული დოვლათის ზრდის ყველაზე დიდი პოტენციალი სწორედ აქ იმალება. შემდგომი თაობები არ გვაპატიებენ მის გაევრანებას. კარგად ითქვა ამის თაობაზე ავტორიტეტული ტრიბუნიდან: „ჩვენ მთას არ მივატოვებთ — ეს პოლიტიკური საკითხია".

მთის მიმართ საერთო-ეროვნული მასშტაბის კოორდინირებული პოლიტიკა უნდა გამომუშავდეს. მთის რეგიონის უნიკალური სოციალურ-ეკონომიკური თუ ფსიქოლოგიურ-ისტორიული მრავალფეროვნება მისი პრობლემებისადმი დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს. ისტორიაზმის პრინციპი აქაც, ისევე როგორც ყველგან, თავისებურ გზამკვლევად მოიჩანს.

ჩვენი აზრით, მთის პრობლემების სწორი გააზრებისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელია სპეციალური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების შექმნა. მრავალფეროვნებიდან მთის აღორძინების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა) და გადამამუშავებელი მრეწველობა. ცხადია, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ძირითადი მიმართულებანიც, ისევე როგორ მატერიალურ-ტექნიკური და საფინანსო პოლიტიკაც, აგრარული განვითარების ამ ეკონომიკურ სტრატეგიას უნდა დაემორჩილოს.

მაგრამ სტრატეგიული მიზანდასახულობიდან „ძირითადი რგოლის" გამოყოფის ლენინური მეთოდი რომ გამოიყენონო, უახლოესს ხუთწლეულებში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკური მუშაობის ცენტრში მთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების პრობლემა უნდა დადგეს, რადგან ეროვნული დოვლათის ზრდის ყველაზე დიდი პოტენციალი სწორედ აქ იმალება. შემდგომი თაობები არ გვაპატიებენ მის გაევრანებას. კარგად ითქვა ამის თაობაზე ავტორიტეტული ტრიბუნიდან: „ჩვენ მთას არ მივატოვებთ — ეს პოლიტიკური საკითხია".

მთის მიმართ საერთო-ეროვნული მასშტაბის კოორდინირებული პოლიტიკა უნდა გამომუშავდეს. მთის რეგიონის უნიკალური სოციალურ-ეკონომიკური თუ ფსიქოლოგიურ-ისტორიული მრავალფეროვნება მისი პრობლემებისადმი დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს. ისტორიაზმის პრინციპი აქაც, ისევე როგორც ყველგან, თავისებურ გზამკვლევად მოჩანს.

ჩვენი აზრით, მთის პრობლემების სწორი გააზრებისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელია სპეციალური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების შექმნა. მრავალფეროვნებიდან მთის აღორძინების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა) და გადამამუშავებელი მრეწველობა. ცხადია, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ძირითადი მიმართულებანიც, ისევე როგორ მატერიალურ-ტექნიკური და საფინანსო პოლიტიკაც, აგრარული განვითარების ამ ეკონომიკურ სტრატეგიას უნდა დაემორჩილოს.

მაგრამ სტრატეგიული მიზანდასახულობიდან „ძირითადი რგოლის" გამოყოფის ლენინური მეთოდი რომ გამოიყენონო, უახლოესს ხუთწლეულებში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკური მუშაობის ცენტრში მთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების პრობლემა უნდა დადგეს, რადგან ეროვნული დოვლათის ზრდის ყველაზე დიდი პოტენციალი სწორედ აქ იმალება. შემდგომი თაობები არ გვაპატიებენ მის გაევრანებას. კარგად ითქვა ამის თაობაზე ავტორიტეტული ტრიბუნიდან: „ჩვენ მთას არ მივატოვებთ — ეს პოლიტიკური საკითხია".

მთის მიმართ საერთო-ეროვნული მასშტაბის კოორდინირებული პოლიტიკა უნდა გამომუშავდეს. მთის რეგიონის უნიკალური სოციალურ-ეკონომიკური თუ ფსიქოლოგიურ-ისტორიული მრავალფეროვნება მისი პრობლემებისადმი დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს. ისტორიაზმის პრინციპი აქაც, ისევე როგორ

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ ყოვლენა ■ კომენტარი

მსოფლიო სიცილმა გადაარჩინა

თბილისი იუმორისა და სატირის სახელმწიფო თეატრში ანშლაგით მიმდინარეობს ო. მიშველაძის, ა. გელოვანის და თ. ჩანტლაძის სპექტაკლი „ნახვამდის, ვანინჩა", რომლის დამდგმელი და მონაწილეა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თ. ჩანტლაძე. სპექტაკლი ამ კოლექტივის ბრალი პირველი ახალ „ბინაში" — მუსიკალური კომედიის ყოფილ შენობაში.

— „ნახვამდის, ვანინჩა", თანამედროვე სატირული დეტექტივია, რომელშიც ჩვენი დასი აგრძელებს თავისი შემოქმედების მთავარ გზს: ამხილოს, დასცინოს, გაამთრახოს, აყროვლოს...— — ამბობს თ. ჩანტლაძე.

მეოთხედი საუკუნის მანძილზე თ. ჩანტლაძემ ხელოვნებაში მრავალი ნიღაბი — პერსონაჟი შექმნა. პროფესიით გეოლოგი, იგი მხატვრული თვითმოქმედებიდან მოვიდა. ოცდახუთი წლის წინათ დიდ ხელოვნებაში და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ბაზაზე შექმნა მინიატიურების ანსამბლი.

თ. ჩანტლაძე თვალისამსგავსების, ბიეროკრატების, სპეკულანტების, საქმოსანების, პირფერებისა და მეშჩანების სახეების შექმნისას მოხერხებულად იყენებს სიცილს, მაგრამ მხილების სიმწვავე არასოდეს არ უშლის ხელს მსახიობს, თანაგრძნობით ეკიდებოდეს ადამიანებს. ეს მისი მსოფლხედველობა, მისი კრედოა.

— ჩემთვის ახლობელია გოგოლის ის აზრი, რომ თეატრი ქადაგდრაა, საიდანაც ადამიანებს შეიძლება ბევრი სიკეთე მოეტანონ, — ამბობს მსახიობი. — ნაკლოვანებათა დაცინვა თვითმზაანი რიდია, უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ სატირა მიზნად ისახავს ჩვენი სინამდვილის ჩრდილოვანი მხარეების აღმოფხვრას. და ამას გულისხმიერი ადამიანები აკეთებენ, ისინი, ვისაც საერთო საქმისათვის შესტკივა გული. არსებობს ქველისქეული ფორმულა: „ჯაცობრიობა რომ იცინის, თავისი ნაკლოვანებებისაგან თავისუფლდება". საკვეყნად ცნობილმა ბატონიკ სიცილის სახლმა კი თავის დევიზად გიიბადა გამონათქვამი „მსოფლიო სიცილმა გადაარჩინა". მე მოლიანდ ვიზიარებ ამ აზრს.

წელს იუმორისა და სატირის თეატრს 25 წელი უსრულდება. ამ ხნის მანძილზე იგი რესპუბლიკის ყველა კუთხეში გამოვიდა, საგასტროლოდ იყო მოსკოვში, ლენინგრადში, ერევანსა და ჩეხოსლოვაკიაში. თეატრიკის აქტეალურობა, თანამედროვეობა, ეროვნული სული — ამ თვისებებით გამოირჩეოდა შემოქმედებითი კოლექტივი ყოველთვის. მრავალსმეტყველია ის ფაქტიც, რომ ამ თეატრს არა აქვს მაყურებლის პრობლემა. ბილეთები წარმოდგენამდე დიდი ხნით ადრე ხოლმე გაყიდული.

დღეს სატირისა და იუმორის თეატრის რეპერტუარში სამამულო და საზღვაგარეთის კლასიკური ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი, აგრეთვე თანამედროვე ქართული და საბჭოთა ავტორების ცამეტი სპექტაკლია. ყარამატბინი იდგმება ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!", ი. ილაშაზონავისა და ი. ბრაზნისკის „ისეც სტუეთ, ამხანაგო ნოეოსელ!", ედუარდო და ფილიპოს „ფული და სიყვარული", ფერარის, ა. არკანოვის, გ. გორინის, ა. გელოვანისა და თ. ჩანტლაძის პიესები.

ახლა აქ მიმდინარეობს „ზრე კვადრატულის" რეპეტიციები. ვ. კატაევის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით სპექტაკლს დგამს ა. ნინუა. უახლოეს შემოქმედებითს გეგმაში კი აქვთ სპექტაკლი მ. ჯავახიშვილის „კვაკვავაქანტრიაძე", რომლის დასადგმელად მოწვეულია ლენინგრადი პრემიის ლაურეატი რეჟისორი თ. ჩხეიძე.

ნ. იმედაძე.



ძველი თბილისის ერთ-ერთი კუთხე.
მხატვარ ვ. მანუჩარიძის ნახატი.

▼ ▼

პოეტი ბაიფოხელეთანთან

თბილისი ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის" მშრომელებმა შეხვედრა მოუწყვეს ცნობილ პოეტს ანა კალანდაძეს. პოეტის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ისაუბრეს საწარმოს მრავალტრანაციანი გაზეთის „კომუნისტური შრომისათვის" რედაქტორმა მ. მაისურაძემ, პროფკომიტეტის თავმჯდომარემ რ. ქველაძემ და სხვებმა.

დასასრულ ანა კალანდაძემ წაიკითხა საკუთარი ლექსები.

მხატვრის ღიმილი

უსიამოვნოდ.

სასკოლო რეფორმა

უაღრესად მწვავე პრობლემები იყრის თავს ჩვენს მსულიკალურ ყოფაში. აქ სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს მდარე ხარისხის საესტრადო-დილეტანტური პროდუქცია, რომელიც მის წიაღშიც უხვად იბადება და გარედანაც შეუწყვეტლივ შემოდის. ამ პროდუქციით შეიარაღებული ყოფა პირდაპირ ანალეგზრდობაზეა ორიენტირებული და რეგენის მის გემოვნებას: დღეს მუსიკალური ყოფა არავითარ კონტროლს არ ემორჩილება. იგი დაუბრკოლებლად იჭრება მასობრივი ინფორმაციის არხებშიც, საკონცერტო ესტრადაზეც, რითაც უზარმაზარ აუდიტორიას აბავებს თავის გემოვნებას.

ერთი სიტყვით, ყოფაა მუსიკალური ხელოვნების ყველაზე გავლენიანი კონკურენტი, რომელიც აფერხებს მსმენელთა აღზრდას და მუსიკალური კულტურის გავრცელებისა და ამაღლების გზას ეღობება. სწორედ ამ შემთხვევაში უნდა გადადგას მუსიკალურმა განმანათლებლობამ პრაქტიკული ნაბიჯები. იგი აქტიურად უნდა შეიჭრას მუსიკალურ ყოფაში და მოიძიოს თავისი საყრდენები.

ამის ჩინებული მაგალითია ბალტიისპირეთი, სადაც განმანათლებლურ მისიას დიდი წარმატებით ემსახურება პროფესიულ დონეზე დაყენებული თვითმოქმედება, რომელიც ეფუძნება საგუნდო მუსიკირების ტრადიციას და გადაზრდილია ჭეშმარიტ სახალხო მოძრაობაში. სწორედ იგი ფილტრავს, არეგულირებს, აორგანიზებს მუსიკალურ ყოფას, აღვივებს მის წიაღში შემოქმედებითს ცეცხლს, მუსიკასთან ყოფცალი აქტიური, სულიერი ცხოვრების გამმდიდრებელი ურთიერთობის მოთხოვნილებ ა ს, რაც თაობიდან თაობას გადაეცემა და ეროვნული კულტურის თვისებას წარმოადგენს. ამიტომაც არის, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში არა დგას ცარიელი დარბაზებისა და პროფესიული მუსიკალური კადრების ნაკლებობის პრობლემა. ასეა ევროპის ბევრ ქვეყანაში, სადაც მუსიკალური ხელოვნების ამა თუ იმ ჯანრის საფუძველზე განუწყვეტლივ მიმდინარეობს მუსიკალური ყოფის პროფესიონალიზაციის პროცესი და რომელსაც ხალხში შეაქვს მუსიკალური განათლება. მაგალითად, იტალიაში განმანათლებლურ მისიას ასრულებს ვოკალური, კერძოდ, საოპერო ხელოვნება, ავსტრიულ-გერმანული ორიენტაციის ქვეყნებ შ ი კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკირების ფორმები და ა. შ. ამდენად, ამ ქვეყნებში განმანათლებლურ ამოცანებს წყვეტენ ის ჯანრები, რომლებიც ეროვნული მუსიკალური კულტურის წიაღიდან მომდინარეობენ.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ იქ, სადაც ისტორიულად ვითარდება მუსიკალური ყოფის პროფესიონალიზაციის პროცესი, მასობრივი კულტურა კონკურენციას ვერ უწევს მუსიკალურ ხელოვნებას, გასართობი პროდუქცია ვერ აკავშრობს მსმენელთა აუდიტორიას და მისი ეანობრივი ინტერესების ზრდა.

წინათ საქართველოშიც ინტენსიურად ვითარდებოდა მუსიკალური ყოფის პროფესიონალიზაციის პროცესი, რომელიც მრავალსაუკუნოვანი ხალხური საერო და სასულიერო მუსიკიდან იღებდა სათავეს. სწორედ იგი ფილტრავდა, არეგულირებდა, აორგანიზებდა მუსიკალურ ყოფას, ფართოდ ნერგავდა ანსამბლურ-საგუნდო მუსიკირების ტრადიციებს და ამით აწრთობდა ჩვენი ხალხის შემოქმედებითს ინსტინქტებს, მუსიკალურ ინტელექტს, განაპირობებდა სოციალური, ზნეობრივი თუ სულიერი ცხოვრების ყოველ სფეროში მიმდინარე პროცესების ესთეტიზაციას. ამიტომაც ჰქონდა ყოფას დიდი უნარი, დაეცვა ეროვნული მუსიკალური კულტურის სიწმინდე სხვადასხვა ყაიდის დამაკნინებელი გავლენებისგან, ჩვენს მიწაზე ხმლითა და მახვილით რომ შემოჭრილდან უცხოელ დამპყრობლებს. მუსიკალური ყოფა იყო ქართველი ხალხის შემოქმედებითი სკოლიც, ეროვნული თვითშეგნების დამცველი ფარიც, სულიერი ძალების ამაღორძინებელი წყაროც, ზნეობრივი ცხოვრების გამჯანსაღებელი ნიადაგიც. იგი მაღალი ესთეტიკური კრიტერიუმებით იყო შეიარაღებული.

ამიტომაც აღმოჩნდა მზად ჩვენი ყოფა ევროპული მუსიკალური ტრადიციების მისაღებად ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში. გავიხსენოთ, რა სწრაფად, დაუბრკოლებლად დამკვიდრდა ჩვენში ევროპული ტიპის კამერული მუსიკირების ფორმები, მოგვიანებით კი ოპერა. ქართველი მსმენელი ოპერატიულად ეხმიანებოდა ევროპელ კომპოზიტორთა ახალ საოპერო ქმნილებებს და მაშინვე იდგმებოდა თბილისში. მუსიკალური ყოფის წიაღშივე აღიზარდნენ ენთუზიასტი კამერულნ ანსამბლები, გასულ საუკუნეშივე რომ დაუდეს საფუძველი ეროვნული მუსიკალური კერების დაარსების საქმეს და ის კომპოზიტორები, შემსრულებლები, რომლებიც მუსიკალური ცხოვრების ორგანიზატორებიც იყვნენ, განმანათლებლებიც, პედაგოგებიც, მკვლევრებიც, საზოგადო მოღვაწენიც და პროპაგანდისტებიც.

ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ, როგორც კი იბზარება ამა თუ იმ ჯანრზე დაფუძნებული ანსამბლური მუსიკირების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, უკურეაქცია იწყება — ფერხდება მუსიკალური ყოფის პროფესიონალიზაციის პროცესი და განმანათლებლობაც ნიადაგგამოცლილი რჩება. იგი ვეღარ ასრულებს ეთიკურ და ესთეტიკურ ფუნქციებს, იფიტება მისი რესურსები და შემოქმედებითი ენერგია. მუსიკალური ყოფა სოციალურად ინერტული ხდება. ცხადია, ასეთ ნიადაგზე ადვილად ხარობს მდარე ხარისხის სესტრადო-დილეტანტური პროდუქცია, რომ ლ ი ც გავლენას ახდენს ფარო ფენებზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე. ამას მოსდევს მსმენელთა ფართო აუდიტორიის დაკარგვა და პროფესიული კადრების ნაკლებობაც.

დღეს ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებას სწორედ ეს სიმპტომები ახასიათებს. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ დროთა განმავლობაში ჩვენს ყოფაში შეწყდა ხალხური მუსიკის ფუნქციონირება, იგი საბოლოოდ დამკვიდრდა საკონცერტო ესტრადაზე, რამაც იგი მოსასმენ ხელოვნებად აქცია. ამიტომაა, რომ დღეს ხალხური სიმღერა ვეღარ აგრძელებს მუსიკალური ყოფის პროფესიონალიზაციის პროცესს და ვეღარ წყვეტს განმანათლებლურ ამოცანებს.

ასე მოსწყდა ჩვენი ყოფა მშობლიურ ხალხურ მუსიკას, რამაც მის წიაღში წარმოშვა სიცარიელე, რომლის ამოვსება არანაკლებ იყო დამოკიდებული მუსიკალური განათლების სისტემაზეც. სწორედ მას უნდა ეკისრა მუსიკალური ყოფის პროფესიონალიზაციის ამოცანების და განმანათლებლის მისიაც.

დღეს საქართველოში უამრავი მუსიკალურ-აღმზრდელობითი კერაა. თითქმის ყველა რაიონშია გაბნეული სამუსიკო სკოლები, სასწავლებლები, სტუდიები. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მუსიკალური სწავლება მასობრივია, მაგრამ ეს ფაქტი, ისევე როგორც მოსწავლე ახალგაზრდობის კონტინგენტი, სტატისტიკას უფრო აკმაყოფილებს, ვიდრე მუსიკალურ ყოფას და, პიროქით, რაც დრო გადის, მით ალბათ, იმიტომაც მოხდა, რომ ძნელად მოიძებნებიან მშობლიური ხალხური მუსიკის მასწავლებლები.

ამ ბოლო ხანს სასიკეთო ძიებმა იჩინა თავი. რამდენიმე სამუსიკო სასწავლებელში, კერძოდ, გორსა და თელავში დაარსდა მოსწავლეთა გუნდები, რომელთა რეპერტუარში აკადემიურ საგუნდო სიმღერებთან ერთად შეტანილია ქართული ხალხური სიმღერებიც. სწორედ ეს კოლექტივები ამართლებენ ამ სასწავლებელთა არსებობის. სიახლეა დანერგილი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე შემსწავლელთათვის, რომელებსაც 25 ქართული ხალხური სიმღერის ცოდნა ევალებათ. ერთი სიტყვით, სასახარულოა, რომ სასწავლო კერები დაინტერესდნენ ქართული ხალხური მუსიკით, რასაც ცალკეულ ენთუზიასტებს უნდა ვუმადლოდეთ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ხალხური მუსიკა, როგორც იტყვიან, დედის რძესთან ერთად უნდა შეიწოვოს ადამიანმა. სამაგალითოდ ავიღოთ ბიჭუნების ანსამბლი „მართვე", რომელიც ა. ერქომაიშვილმა რ. მიქაბერიძესთან ერთად ჩამოაყალიბა. მიუხედავად იმისა, რომ ყმაწვილებს სათანადო მუსიკალური განათლება არ ჰქონდთ, მათ წარმატებით შეისწავლეს ბევრი მრავალხმიანი ქართული ხალხური სიმღერა-საგალობელი. ამ ბოლო დროს პიონერთა სასახლეშიც დაარსდა ფოლკლორული ანსამბლი. ამით იმის თქმა მინდა, რომ განათლების სისტემის საწყის ეტაპზე თამამად შეიძლება დაინერგოს ხალხური მუსიკის სწავლება. ამას სწორედ ახლა უნდა მიექცეს ყურადღება, როცა მიმდინარეობს მუსიკალური განათლების სისტემის რეფორმა, კორეტივების შეტანა. ეს ეხება ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებსაც, სადაც უქმად იკარგება სიმღერის გაკვეთილებისათვის გამოყოფილი დრო. სკოლებს არა ჰყავთ კვალიფიციური მუსიკოს-პედაგოგები.

თავის მხრივ არც მუსიკოსები ეტანებიან ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებს. როგორც ჩანს, ამ სკოლებში მოღვაწეობა მათთვის არაპრესტიჟულია. სხვათა შორის, თავის დროზე ამას არ თაკილობდნენ ჩვენი შესანიშნავი მუსიკოს-განმანათლებლები ნ. სულხანიშვილი, ზ. ფალიაშვილი, ა. ფარაშვილი, ი. კალარ კოკლაძე, ზურაბ ცირამუა და სხვები.

▼ ▼

შეხვედრა სახელმწიფო ჯრეშილის ლაურეატებთან

ი. ფეიგუას სახელობის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა კლუბში თითქმის ყოველ საღამოს ხალხმრავლობაა. ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა რესპუბლიკური სამეოს გაყოფილებები, გარდა სექციური მუშაობისა, ზშირად აწყობენ შეხვედრებს საინტერესო ადამიანებთან. გუშინ კლუბში აღნიშნული სამეოს სამედიცინო განყოფილების ლონისძიება მოეწყო. ახალგაზრდები შეხვდნენ სსრ კავშირის 1987 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატებს—ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო ცენტრის გენერალურ დირექტორს, აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურსა და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს ლამარა თვალიაშვილს. აქ გამართული უშუალო საუბარი ძირითადად ეხებოდა სწორედ სახელმწიფო პრემიით აღნიშნულ სიახლეს „მტვენის ფუნქციის ოდენენა დისტრაქციული ამპარტებისა და რეკონსტრუქციული ოპერაციების გამოყენებით". მოწვეულმა სტუმრებმა ისაუბრეს აგრეთვე ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სადღეისო მიღწევებსა და პრობლემებზე.

▼ ▼

მოლოდინი ეთიოპიიდან

გუშინ გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ ეთიოპიიდან ასეთი წერილი მიიღო: „საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ახალი წლის მოსვლა ახალი იმედების, ყოველივე სიკეთის ადგენის სიმბოლოდ არის აღიარებული,—გვწერს ქართველი სპეციალისტების სახელით **ზაურ ზარნაძე,**—სიტყვა და სიკეთე, აღმავლობა და წარმატებები, უატომო წელიწადად და მშვიდობა დაგვიბებოდეთ, მეჩოფასო თანამშამულეებო.

ჩვენ, ეთიოპიაში მომუშავე ქართველი სპეციალისტების პატარა ჯგუფი, ჩვენთვის უჩვეულო ბუნებრივ პირობებში წარმატებით ვმოძრობთ „მალაკეკანანის" ბიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ახალფეხადგამული სახალო დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. კეთილი სურვილებით მოგვსალმეთი, მოგილოცავთ 1988 წლის მობრძანებას, მშვიდობით, სიჯანსაღით, სიკეთით, ახალ-ახალი წარმატებებით გაგთენებოდეთ მთა ყოველი ალიონი. ეხარის ქეეყნდა სიმართლეს, სიყვარულს, თანადგომას".

მიუხედავად იმისა, რომ მოლოდინ ცოტა დაგვიანდა, ვფიქრობთ, ჩვენი ქართველი მეინ, სიამოვნებითა და სიხარულით მიიღებს მას და ამიტომაც ვბეჭდავთ ეთიოპიიდან მომუშავე ქართველი სპეციალისტების ამ გულთბილ წერილს.

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტებნი **მ. გორგილაძის, ბ. შარიქაძისა** და **ვ. თეფდორაძის,** საკადესოა და საჭიფორმის მასალები რუბრიკისათვის მოამზადა **ნ. ლურმანავაშვილმა.**

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲝᲜᲓᲠᲝᲜᲘᲓᲐᲜ

გ. კოკელაძე

ᲓᲐᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ მუსიკალურმა ხელოვნებამ ძმიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ცნობილი კომპოზიტორი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, 1939 წლიდან სკკპ წევრი, პროფესორი გრიგოლ ირაკლის ძე **კოკელაძე.**

თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე გ. კოკელაძე დაკავშირებული იყო ქართული სიმღერის მუსიკალური კულტურის უმთავრეს მიმართულებებთან, როგორც მისი ერთ-ერთი მესვეური, ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებითს მოღვაწეობას.

გ. კოკელაძე დაიბადა 1904 წელს ქუთაისის რაიონის სოფელ პატრიკეთში. მან ადრე დაიწყო შრომითი საქმიანობა.

მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა ქართულ ხალხური სიმღერის პროპაგანდისტი და მომამგე გახდა. 1927 წელს ხალხური თვითმოქმედების I რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მისი ხელმძღვანელობით მომზადებულმა გუნდმა პრემია დაიმსახურა, რამაც მისი პროფესიის არჩევანიც განსაზღვრა. 1937 წელს გ. კოკელაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის I საკავშირო ტიპის ბანგაფიდა. სწავლის პარალელურად გ. კოკელაძე ინტენსიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. 1931-32 წლებში იგი საქართველოს სსრ გამსახლობის მუსიკალური კადრების განყოფილების გამგედ მუშაობდა. სხვადასხვა დროს იყო ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის დირექტორი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს კულტურის სამინისტროს მუსიკალური განყოფილების უფროსი, თბილისის პირველი საბავშვო მუსიკალური სკოლისა და სასწავლებლის დირექტორი.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის დაარსების დღიდან გ. კოკელაძე მისი ერთ-ერთი მესვეური. 1932-1937 წლებში იყო კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ თავმჯდომარე.

ათეული წლების მანძილზე გ. კოკელაძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ჯერ პირველ სამუსიკო სასწავლებელში, ხოლო 1960 წლიდან — კონსერვატორიაში, სადაც. საგუნდო დირიჟორობის კათედრაზე მუშაობდა.

გ. კოკელაძის შემოქმედებითი მოღვაწეობა ძირითადად დაკავშირებული იყო საგუნდო მუსიკის ანრიგენის. იგი მრავალი კანტატის, საგუნდო სიმღერის, აგრეთვე რომანსების, სიმღერების, საფორტეპიანონ პიესების ავტორია.

დიდი დამსახურება მიუძღვის გ. კოკელაძეს როგორც ქართული ხალხური მუსიკის შემკრებს, მკვლევარსა და პროპაგანდისტს. მას გამოცემული აქვს მისივე შეკრებილი ხალხური სიმღერების რამდენიმე კრებული.

ქართველი მუსიკოსების, კოლეგებისა და მოწაფეთა მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება ზეციერ-შნავი ადამიანის, მრავალმსიგი მუსიკოსისა და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ კოკელაძის ნათელი ხსოვნა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო; საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი; საქართველოს მუსიკოსთა საზოგადოება; თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

მეგობრული შეხვედრების სითბო

ᲐᲮᲚᲘᲡᲐᲜ ლონდონში მუშაობდა საერთაშორისო ტურისტული და სამოგზაურო ორგანიზაციების ბირეა, რომელშიც საბჭოთა კავშირიც მონაწილეობდა (მეორედ). ლონდონის ოლიმპიურ დარბაზში, სადაც ბირეამ დაიდო ბინა, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ თავ-თავის ბაკილონებში მოაწყო საუკეთესო ტურისტული მარშრუტების გამოფენა ბუკლეტებით, სარეკლამო პლაკატებით... მნახველებს აქვე ეფოდთ მომზიდველი გასართობი სანახაობები. ბირეაზე საქართველოდან წარგზავნილები იყვნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორული ანსამბლი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი „ფაზნი". (ხელმძღვანელი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ჯუმბერ ყოლბაია) და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ქართული ხალხური ცეკვის შემსწავლელი ხალხური მოცეკვავეთა ჯგუფი, რომლებიც რეკლამას უწევდნენ საბჭოთა პავილიონს. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა გამართეს 10 კონცერტი და საერთო აღიარება დიმისახურეს, ისინი საუკეთესოდ ცნეს ბირეაზე გამოსულ მხატვრულ კოლექტივებს შორის.

ქართველ ხელოვანთა გამოსვლებით დაინტერესდა ბრიტანეთის რადიოსა და ტელევიზიულობის კოორპორაცია ბი-ბი-სი, რომელმაც გადაიღო ქართული ცეკვა და ჩართო იგი საბჭოთა კავშირისადმი მიძღვნილ გადაცემაში.

ძირითადი გამოსვლების გარდა მოეწყო დამატებითი შეხვედრები და კონცერტები. სამახსოვრო იყო ქართველი მსახიობებისათვის გამოსული ანტიკური ხანის ქალაქში ბათში, სადაც ისინი შეხვდნენ ხელოვნებისა და მუსიკის კოლეჯის სტუდენტებს. საინტერესო იყო ასევე შეხვედრა ქალაქ თაროკკოს საზოგადოებასთან. კონცერტის შემდეგ, რომელსაც ეს ხელოვნდნენ ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, ქართველ მომღერლებსა და მოცეკვავეებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს, ეს იყო დასტური იმისა, თუ რამდენად აუცილებელია ხალხთა დაახლოება, რასაც ასე კარგად უწყობს ხელს ასეთი შეხვედრები.

ქართველმა მსახიობებმა მოინახულეს კემბრიჯი, ოქსფორდი, სტრატფორდი. ამან კიდევ უფრო საინტერესო და მინაარსიანი გახადა მათი მოგზაურობა. („კომუნისტის" კორ.).

დიდი გზის დასაწყისი.

საკინფორმის ფოტო.

სპორტი

„ტემპოს" გამოთვლით

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა 1987 წელს ევროპელ გუნდებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ეუგოსლავური სპორტული ყოველკვირეული „ტემპოს" ანალიზის მიხედვით. სამჯოთა გუნდმა 137,22 ქულა დააგროვა, მეორე ადგილზეა ჰოლანდიის ნაკრები (129,07), მესამეზე — იტალიისა (119,72).

აღსანიშნავია, რომ ჟურნალი უკვე 12 წელია იდგენს ცხრილებს კონტინენტის საუკეთესო საფეხბურთო გუნდების შესახებ. ამ პერიოდში პირველ სამ ადგილ „შესაბამისად იკავებენ დასავლეთ გერმანიის, სსრ კავშირისა და იტალიის გუნდები.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ. კანადის ქალაქ სენტ-ჯონსში გაიმართება მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩები. მეორე ტურის პარტიები ასე დამთავრდა: შორტმა დაამარცხა სამი, სოკოლოვმა—სპრაგეტი, სპილმენმა — სეირანი. ეელესტი დაუზავდა იუსუპოვს, ტიმანი — სალოვს, ჭაკანიანი — პორტიშს. გადაიდო კორჩნოისა და ხიარტარსონის პარტია. ამრიგად, ორი ტურის შემდეგ შორტს 2 ქულა აქვს, თანაბარ მატჩებში 1,5-1,5 ქულა დაგროვეს სოკოლოვმა, იუსუპოვმა და სპილმენმა. ხიარტარსონ კორჩნოისთან მატჩში დაწინაურდა ანგარიშით 1:0 და ამასთან ერთად ერთი დასამაგრებელი პარტია აქვს. პორტიშ-ვაჩანიანის და სალოვ-ტიმანის მატჩებში ანგარიში საყამოა— 1:1.

ᲩᲝᲒᲑᲐᲗᲘ. ქალაქ პორტლენდში (აშშ) გამართული საჩვენებელ მატჩში მოსკოველმა ანდრეია ჩესნოკოვმა შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა: მან საკვეყნოდ ცნობილი ჩოგბერთელი ჯონ მაკენროი (აშშ) დაამარცხა ანგარიშით 6:3, 6:4. მატჩის შემდეგ მაკენროიმ განაცხადა, რომ ჩესნოკოვმა მნიშვნელოვნად უმატა თამაშის კლასს.

ᲗᲐᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲕᲘᲓᲐᲛᲐ. ბაკანსა და ჩერეტსკმა მოეწყო სსრ კავშირისა და აშშ-ს ნაკრები გუნდების ორი სამატჩო შეხვედრა. ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით (6:4) მოიგეს საბჭოთა ათლეტებმა. ახლა ამერიკელები თბილისში ჩამოვლენ და 29 იანვრიდან ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ცდიან ძალებს.

ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘ. ლვოვში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაზე თავი ისახელა **თბილისელმა ვლადიმერ ადამაშვილმა.** იგი სპრინტერთა რბოლაში პირველ ადგილს დაეუფლა. 200 მეტრზე ჰიტში რბოლაში კი უძლიერესი იყო მოსკოველი ნიკოლოზ კოკში. ადამაშვილი ამ სახეობაში მეორე ადგილზე გამოვდა.

„კომუნისტის" ᲗᲘᲛᲘᲡᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲡᲝᲗᲡ, 30 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ.

რედაქტორი ნ. ᲨᲝᲨᲘᲐᲫᲔ.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ — ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — დოკუმენტური ფილმი „ამინდის შეცვლა". 9.55 — „ოთხი შეხვედრა ვლადიმერ ვისოცკისთან". IV სერია. 11.10 — „ცოცხალი სიმები". ფილმ-კონცერტი. 11.45; 16.30 და 18.15 — ახალი ამბები. 11.55 — ადამიანი და კანონი. 16.40 — ბეთჰოვენი. № 3 („გმირული") სიმფონია. 17.30 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 18.20 — იუნესკო — მშვიდობისა და განვითარებისათვის. 18.40 — ინფოფთის ფუტბოლი საბჭოთა კავშირში. უკრავს რავი შანკარი. 19.05 — ფილმოფიური საუბრები. 20.00 — დღეს მსოფლიოში. 20.15 —მხატვრული ტელეფილმი „ყველა მდინარე მიედინება". V და VI სერია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროგექტორი. 22.50 — მსხვილი პლანით — ადამიანი. 0.10 — დღეს მსოლიოში. 0.20 — „ამიკატო". მუსიკალური პროგრამა ბუდაპეშტიდან.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 11.05 — სამეფნიერო-პოპულარული ფილმები. 9.35 და 10.35 — ნ. ა. ნეკრასოვი. „ფიქრები საპარადო შესასვლელთან". VII კლასი. 10.05 და 12.05 — ესპანური ენა. 11.35 და 12.35 — ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. IX კლასი. 13.05 — მხატვრული ფილმი „მოგზაურობა ცხრა ზღვას იქით". II სერია. 14.15 და 19.00 — ახალი ამბები. 14.25 — ტელეფილმი „ჩემი ბედი". III სერია. 19.15 — რიტმული ტანვარჯიში. 19.45 — მულტფილმი. 20.00 — ჩემპიონი ჩემპიონად რჩება. გ. კასპაროვის შესახებ. 20.30 — „ცისარტყელა" (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა). 21.00 — „ძილი ნებისა პატარებო!". 21.15 — ელოსპორტი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროგექტორი. 22.50 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ეიგოლო და ეიგოლეტა". 23.30 — კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ჩეხოსლოვაკიისა და საბერძნეთის ნაკრები. გუნდები. 0.30 — ახალი ამბები.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.40 — ქართული სატელევიზიო კომედიური ფილმების ეკრანი. სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სერენადა". 14.00 — ანიმეტიონტთათვის. ბიოლოგია. 14.30 — დოკუმენტური ფილმი „ბაკარენკოსთან ერთად". 15.20 — მასწავლებლის საათი. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.00 — „დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე". 16.10 — ანტიურენტთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.40 — „საახალწლო მუსიკალური ფანტაზია". 17.20 — განცხადებები. 17.25 — „ახალგაზრდობისათვის. „მძლე კავშირი ძმური". 18.45 — ახალგაზრდობისათვის. „შუქნიშანი". 19.00 — „ეკონომია სატელევიზიო კლუბი". 20.00 — ზოამბე. 20.35 — „გარდაქმნის წახნაგები". 21.25 — წერილის დღე. 21.30 — ქართული სატელევიზიო კომედიური ფილმების ეკრანი. სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სამი